http://178.249.17.200/notary/CoverPage.do?variant=2&actId=29372225

http://178.249.17.200/notary/CoverPage.do?variant=2&actId=29372225

საქართველო

საქართველო



საქართველო

საქართველო

საქართველო

საქართველო
სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდსამი წლის თვრამეტ აგვისტოს მე, ნოტარიუს ლიანა მინაძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. ახალციხე, თამარაშვილის ქ. №2, მომმართა ბ-მა სიმონი ნასყიდაშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ იგი არის შპს „მაგი“-ს (ს/ნ 406053924) დირექტორი (თანახმად ამონაწერისა სამეწარმეო რეეტრიდან B16149922) მან განაცხადა, რომ სურს შპს „მაგი“-ს (ს/ნ 406053924)დირექტორის სახელით ლევანი კვეტენაძეს მიანიჭოს უფლებამოსილება და მოითხოვა შესაბამისი მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად სიმონი ნასყიდაშვილმა (დაბადებული 050.2.1991 წელს, პირადი №47001038416 მისამართი: ქ რუსთავი, XIX მიკრო/რაიონი, N 7, ბინა 18) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა, რაშიც ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მისი უფლებამოსილება დავადგინე სამეწარმეო რეესტრის ელ ბაზის მონაცემებით და ამონაწერით სამეწარმეო რეესტრიდან, შემდეგ დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, რის შემდეგ შევადგინე მინდობილობა, რომელიც წავუკითხე მას, განვუმარტე მისი შინაარსი და მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, აგრეთვე ის, რომ მას ნებისმიერ დროს შეუძლია ამ მინდობილობის გაუქმება. მან თვითონაც წაიკითხა ტექსტი და დაადასტურა, რომ მინდობილობა სრულად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორი ათას ოცდსამი წლის თვრამეტ აგვისტოს, ამ მინდობილობით შპს „მაგი“-ს (ს/ნ 406053924) დირექტორმა სიმონი ნასყიდაშვილმა (პირადი №47001038416), შემდეგში „მიმნდობი“, ლევანი კვეტენაძეს (დაბადებული 21.04.1990 წელს პირადი №01003018678, რეგისტირებული მისამართი: თბილისი მონადირის III შეს. N 21), შემდეგში „მინდობილი პირი“, მიანიჭა უფებამოსილება შემდეგზე:

ლევანი კვეტენაძე უფლებამოსილია წარმოადგინოს და დაიცვას ჩემი, როგორც შპს „მაგი“-ს (ს/ნ 406053924) დირექტორის ინტერესები შპს „მაგი“-ს (ს/ნ 406053924) საკუთრებაში არსებულ , მიწის ნაკვეთზე, ფართი: 2416.00კვ.მ მდებარე მისამართზე: ქალაქი თბილისი სამგორის ქ №13 საკადასტრო კოდი № 01.17.12.003.190) შენობის მშენებლობის პროცესთან და პროექტთან დაკავშირებით, გაუწიოს ზედამხედველობა მშენებლობის პროცესს და იყოს წარმომადგენელი ნებისმიერ იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ურთიერთობაში, სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაცია- დაწესებულებებში, მათ შორის ქ. თბილისის საკრებულოში, მერიაში, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახურებში. ფირმებთან და კომპანიებთან ურთიერთობაში, მათთან შეთანხმებების/ხელშეკრულებების დადებისა და მასზე ხელმოწერის უფლებით. მასზე ნებისმიერი სახის მშენებლობის/რეკონსტრუქციის/მიშენების უფლებით, მოამზადოს საპროექტო დოკუმენტები, მიიღოს მშენებლობის ნებართვა, პროექტი, შეიტანოს მასში ნებისმიერი სახი ცვლილებები, გაუწიოს ზედამხედველობა მშენებლობის პროცესს, ჩემი სახელით წარადგინოს ნებისმიერი სახის და შინაარსის განცხადება და სხვა დოკუმენტები `მინდობილი საკუთრების~ ფლობასთან, სარგებლობასა და მართვასთან, აგრეთვე მასზე მშენებლობის/ რეკონსტრუქციის განხორციელებასთან დაკავშირებით გამოითხოვოს და მიიღოს ყველა აუცილებელი დოკუმენტი: ცნობა, ნებართვა ლიცენზია, მოწმობა, პროექტი, ამონაწერი, დასკვნა და ა. შ; საჭიროების შემთხვევაში `მინდობილი საკუთრება~ გაყოს გამიჯნოს, შეაერთოს/გააერთიანოს, შეიტანოს ცვლილებები საკადასტრო აზომვით და სხვა რეგისტრირებულ მონაცემებში, დადოს ნებისმიერი სახის და შინაარსის გარიგებები (გაყოფის, გამიჯვნის, შეერთების/გაერთიანების დ ა.შ), თავისი შეხედულებისამებრ განსაზღვროს გარიგების შინაარსი ვადები და სხვა პირობები, ხელი მოაწეროს მა დაარეგისტრიროს ცვლილებები და ხელშეკრულებები საჯარო რეესტრში, აწარმოოს ექსპლოატაციაში მიღებ პროცედურები, მიიღოს შენობა ექსპლოატაციაში, ზემო აღნიშნულთან დაკავშირებით ხელი მოაწეროს საჭირ დოკუმენტაციას, განცახადებას, განაცხადს, თანხმობას, ხელშეკრულებას/შეთანხმებას და შეასრულო კანონმდებლობით დადგენილი სხვა პროცედურა და მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება მინიჭებულ უფლებამოსილების განსახორციელებლად.

მინდობილობა გაცემულია ერთი წლის ვადით.
ეს მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად, საიდანაც ერთი ინახება სანოტარ ბიუროს არქივში, ხოლო სამი გადაეცა „მიმნდობს“

სანოტარო მომსახურების საზღაური: 30.00 (ოცდაათი) ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედება შესრულებისათვის საზღაურის გადახდევინების წესის შესახებ საქართველოს მთავრობის დადგნილების (№ 29.12.2011 წ) 31-ე მუხლისა, + დღგ 5.40 (ხუთი ლარი და ორმოცი თეთრი) თანახმად საქართველ საგადასახადო კოდექსის 166 მუხლისა + 5.00 (ხუთი) ლარი ელ. რეგისტრაციის საფასური, თანახმად 3 მუხლისა, სულ 40.40 (ორმოცი ლარი და ორმოცი თეთრი) დათხუთმეტი) ლარი

„მიმდობი“: შპს „მაგი“-ს (ს/ნ 406053924) სიმონი ნასყიდაშვილი / სიმონი ნასყიდაშვილი
დირექტორი

ნოტარიუსი: ლ. მინაძე

საქართველო. ნოტარიუსი ლიანა მინაძე GEORGIA. NOTARY LIANA MINADZE ГРУЗИЯ. НОТАРИУС ЛИАНА МИНАДЗЕ 47001007370